MES 1 21 0000874040

07/09/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.08.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:05სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი
5. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
6. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
10. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
13. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვახტანგ ლეჟავა	შპს თბილისის	რექტორი	I
2	ნათია სამუშია	თავისუფალი უნივერსიტეტი	პრორექტორი	I
3	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	I
4	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I
5	თამუნა გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	I
6	შაკო თავაძე		სტუდენტების დეკანი	I
7	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	I
8	მარიამ ჯაფარიძე		საერთშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	I
9	ნიკოლოზ ალექსიძე		მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის	I

			დეკანი / პროგრამის ხელმძღვანელი	
10	ლანა გაბრიაძე		პროგრამის კორდინატორი	**I**
11	ნუცა ბათიაშვილი		პროფესორი	**I**
12	ნინო ჟღენტი		ასოცირებული პროფესორი	**I**
13	ლაშა მათიაშვილი		ასოცირებული პროფესორი	**I**
14	ზაალ ჩხეიძე		ასისტენტ პროფესორი	**I**
15	თამარ ჩხიკვილაძე		თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, ""ფარმაცევტული ანალიზის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	**II, III, IV**
16	ალიოშა ბაკურიძე	სსიპ თბილისის სახლმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
17	დავით ჭინჭარაძე		ფარმაციის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
18	თამაზ ჭუმბურიძე		ფარმაციის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
19	მაია გრძელიძე		საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	**V**
20	ციცინო თურქაძე		საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**V**
21	მანანა ქარჩავა		პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
22	მერაბ დათუაშვილი	სსიპ აკაკი წერეთლის	პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
23	ქეთევან კინწურაშვილი	სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, აგრარული ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	**VI**
24	მარიეტა თაბაგარი		ასოც. პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**VI**
25	ეკატერინე კახნიაშვილი		ასოც. პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**VI**

აკრედიტაციის ექპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ნანა მაჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მაია მესტვირიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ირმა ბაგრატიონი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I

5	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
7	მაკა ჯავახია	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
8	მანანა კევლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VII
9	მურად გარუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V
10	ნანა იაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
11	ნია ნათბილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
12	თამარ სანიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
13	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ანალიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 გადაწყვეტილება N. 264
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მართვა და საზოგადოებრივი მეცნიერებები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სოციალური და ქცევითი მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული 0319
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N.240, თბილისი 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ხუთი წევრის შემადგენლობით ამა წლის 28 ივნისს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი. ვიზიტი შერეული სისტემით განხორციელდა. სამუშაო პროცესის ადმინისტრირება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით წარიმართა. შერეული მოდელით წარიმართა მუშაობა თავად უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდანაც როგორც ფიზიკური, ისე ელექტრონული ჩართვის გზით. ვიზიტის პირობებში კომისიამ შეისწავლა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და მოახდინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ნაკლული ინფორმაციის შევსება და დეტალური ანალიზი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, დაზუსტდა რიგი ინფორმაცია, დამატებით მოთხოვნილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია და მონაცემები. უნივერსიტეტმა აღნიშნული ინფორმაცია იმავე დღეს, დღის მეორე ნახევარში წარმოადგინა, ხოლო პროგრამული ბიუჯეტის მონაცემები 3 დღის ვადაში დააზუსტა. ვიზიტის ფარგლებში მოხდა ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალიერება და კომისიის მიერ შეფასების მიზნით საჭირო კითხვების დასმა და ინფორმაციის მიღება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია დაზუსტდეს პროგრამის პირველი მიზანი, რათა გაცილებით რელევანტური იყოს მისი ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონესთან თავსებადობის უზრუნველყოფა.
2. რეკომენდირებულია დაზუსტდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რათა შესაძლებელი იყოს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.
3. სწავლის შედეგებს შორის შედეგი # 4 -ის შემთხვევაში - „კარგად ერკვევა თანამედროვე პოლიტიკურ თეორიებსა და სისტემებში და კომპეტენტურად მსჯელობს მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ პროცესებზე“ რეკომენდირებულია მინიმუმ 2 კურსის დამატება - პოლიტიკის მეცნიერების შესავალი და პოლიტიკური სისტემები/შედარებითი პოლიტიკა, რათა შედეგი მიღწევადად ჩაითვალოს.
4. პროგრამის თანმიმდევრულობისა და მარტივიდან რთულისკენ დაგეგმვის პრინციპის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და კონკრეტულ, შედარებით ზედა საფეხურის კურსების შედეგების უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაში მოხდეს წინმსწრები საგნების ინტეგრირება. მაგალითად, მოხდეს საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი კურსის დამატება მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის კურსის ასაღებად; პოლიტიკური მეცნიერების შესავლისა და შედარებითი პოლიტიკის საგნის ინტეგრირება პროგრამის მესამე შედეგის მისაღწევად. პოლიტიკური მეცნიერების შესავალი კურსის აუცილებლობა იკვეთება სასწავლო კურსის: „Libri Magni VII - US - აშშ პოლიტიკა“ - გასავლელადაც.
5. რეკომენდირებულია პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების უმრავლესობა, ისევე როგორც სასწავლო კურსის ფარგლებში წარმოდგენილი თემატიკა გამყარებული იყოს შესაბამისი საკითხავი, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურით.
6. რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (2007 წლის 5 იანვარი) ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1. ეკონომიკის საფუძვლები, 2. თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები, 3.კავკასია და საქართველო, 4. ქცევითი ეკონომიკა, 5. რელიგია და პოლიტიკა, 6. რელიგიების საფუძვლები (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი), 7. Libri Magni I, 8. Libri Magni II და 9. Libri Magni VIII სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების ფორმატისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრა და მეთოდებიდან გამომდინარე შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების მითითება.
7. აკრედიტაციის სტანდარტებიდან გამომდინარე, მოხდეს პრაქტიკული კომპონენტის „მუშაობა ორგანიზაციაში“ ინსტიტუციონალიზება და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად რეკომენდირებულია გაფორმდეს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან (პრაქტიკის მიზნის, ხანგრძლივობისა და სტუდენტთა რაოდენობის მითითებით)
8. რეკომენდებულია, შემუშავდეს პრაქტიკული კომპონენტის „მუშაობა ორგანიზაციაში“ სილაბუსში დამსაქმებლის მხრიდან სტუდენტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები, რათა შეფასება იყოს გაზომვადი და სტუდენტი არ ფასდებოდეს მხოლოდ 20 ან 0 ქულით და განხორციელეს 0-20-ს შორის შესაბამისი რანჟირების სისტემით. .
9. რეკომენდებულია, მოხდეს სტუდენტის მხრიდან შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმის ინსტიტუციონალიზება და უნიფიცირება. მიზანშეწონილია მართვის სკოლის ადმინისტრაციამ გამოკვეთოს და შეიმუშავოს სწავლის შედეგების გასაჩივრების უფრო

ობიექტური და მოქნილი მექანიზმი; კერძოდ - დაფიქსირებული შეფასების ხელახალ გადახედვაზე ეფექტურობის ასამაღლებლად - სააპელაციო საქმის წარმოების პირველად ეტაპზე - გადაწყვეტილების მართებულობის სისწორის შემოწმება-დასადგენად უფლებამოსილება მიენიჭოს არა თავად სასწავლო კურსის წამყვან-შემფასებელ ლექტორს, არამედ - სტუდენტთა დეკანატის სტრუქტურული რგოლის წარმომადგენლობაში ნეიტრალური პოზიციის მქონე სპეციალურ აკადემიურ პერსონალს, ხოლო პროცესის ეტაპობრივ მსვლელობაში - კონტროლის მექანიზმის ეთიკური პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს.

10. რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული საქმიანობის მეტად ფორმალიზება, რაც გულისხმობს საქმიანობის ამსახველი და დამადასტურებელი ოფიციალური ანგარიშების მომზადებას, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომდგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროგრამის პირველი მიზანი, ,,სტუდენტს ჰქონდეს კარგი და თანამედროვე ზოგადი განათლება“ არ გულისხმობს სასკოლო განათლების, კერძოდ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონისთვის განსაზღვრული განზოგადოებული სწავლის შედეგის მიღწევას. აღნიშნულ მიზანში სიტყვა „ზოგადი“ გამოიყენება არა ტერმინოლოგიური, არამედ ეტიმოლოგიური და გენრიკული მნიშვნელობით, რაც მიზანს სრულად თავსებადს ხდის ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-6 დონესთან. ამასთან ექსპერტების მიერ პროგრამის მიმოხილვაში არ ფიქსირდება რაიმე გარემოება, რომელიც მათ ამ შენიშვნამდე მიიყვანდა. მნიშვნელოვანია ასევე, რომ კურიკულუმში ზოგადი განათლების მოდულის არსებობა და პროგრამაში შესაბამისი მიზნებისა და სწავლის შედეგების ასახვა მიღებული პრაქტიკაა ა.შ.შ-ს უმაღლეს განათლების სისტემაში და განსაკუთრებით გავრცელებულია მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის მსგავსი სტრუქტურის მქონე პროგრამაზე. შესაბამისად, დაწესებულება თვლის, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ახდენს ზოგადი განათლების ტერმინის ვიწრო და მხოლოდ ნორმატიულ განმარტებას, რაც არ იგულისხმება უნივერსიტეტის მხრიდან და არ შეუქმნია რაიმე საკითხი, რომელიც ექსპერტების ყურადღების საგანი შეიძლება გამხდარიყო და ამდენად არარელევანტურია.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დასკვნის პროექტში არსად არ არის დასაბუთებული რეკომენდაციის წყარო. კერძოდ, სწავლის შედეგის მიღწევადობის გაზომვისთვის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულების დაზუსტების საჭიროება არ დასტურდება რაიმე ფაქტობრივი გარემოებით. აღსანიშნავია, რომ არსებობს კურიკულუმის რუკის შედგენის სხვადასხვა მეთოდი, რაც დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოში მოყვანილი ნიმუშებით. მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის რუკის შემუშავებისას დაწესებულებამ ამჯობინა ექსპერტთა მიე შემოთავაზებული მეთოდის ალტერნატივის გამოყენება, რომელიც ასევე ვალიდურია და ჯეროვნად ასრულებს კურიკულუმის რუკის ფუნქციას, კერძოდ ნათლად ასახავ თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. როგორც კურიკულუმის რუკიდან ჩანს, მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროგრამის სწავლის შედეგი მიიღწევა შესაბამისი საგნების ფარგლებში არსებული შეფასებების ერთობლიობით და არა რეპეტიტორიუმბის შეფასების შედეგებით. ამასთან პროგრამის სააკრედიტაციო დოკუმენტში წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და მექანიზმები კურიკულუმის სტრუქტურისა, შინაარსისა და

კურიკულუმის რუკის შედეგებიდან გამომდინარე სავსებით აკმაყოფილებს სტანდარტისა და პროცესის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას არ მიაჩნია მიზანშეწონილად ექსპერტთა მოსაზრების რეკომენდაციის, ანუ სავალდებულო სახით წარმოდგენა და მიჩნევს, რომ მოსაზრება უფრო რჩევის კატეგორიის შესაბამისია.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების მრავალწლიანი ემპირიული გამოცდილებიდან გამომდინარე, პროგრამის სტუდენტებისთვის სირთულეს არ წარმოადგენს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის და Libri Magni VII-ის სწავლის შედეგების მიღწევა, რისი საპირისპიროც არ დასტურდება ექსპერტთა დასკვნის პროექტში, შესაბამისად გაუგებარია თუ საიდან გამომდინარეობს რეკომენდაცია.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება არ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციის წყაროს, ვინაიდან აღნიშნულის კურსის სილაბუსებში შეფასები სისტემა დეტალურად არის გაწერილი და შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან. ამასთან აღნიშნა, რომ სტუდენტი წერს ერთ წერით დავალებას ფინალური გამოცდის ფარგლებში, რომელიც მოიცავს 40 ქულას. შემდეგ კი ლექტორს აქვს მინიჭებული ორი კრიტერიუმი, რომლითაც აფასებს ერთ ნაშრომს.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში პროგრამის სტუდენტებმა 100-მდე სხვადასხვა ორგანიზაციაში გაიარეს აღნიშნულის საგნის ფარგლებში პრაქტიკა. ამასთან პროგრამის არსებობის მანძილზე არ დაფიქსირებულა სტუდენტისთვის პრაქტიკის ობიექტის ვერ მოძიების ფაქტი. შესაბამისად, გაუგებარია თუ საიდან გამომდინარეობს ექსპერტთა მოსაზრება, რომ აღნიშნული პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებების გაფორმებას პრაქტიკის მიზნის ხანგრძლივობისა და სტუდენტთა რაოდენობის მითითებით, რეკომენდაციაში მითითებული პოზიცია არ გამომდინარეობს რაიმე დასაბუთებული ფაქტიდან, რომელზეც რეაგირება იქნებოდა საჭირო და შესაძლოა მას ჰქონდეს პირიქით, კონტრპროდუქტიული შედეგი. სწორედ ამ შედეგის გათვალისწინებით დაწესებულებას მიაჩნია, რომ აღნიშნული პოზიცია არის სტანდარტის ვიწრო და ფორმალისტური ინტერპრეტაცია. უნივერსიტეტის პოლიტიკა დამსაქმებლებთან ურთიერთობისას გამომდინარეობს სტუდენტთა საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნებიდან. დამსაქმებლებთან ურთიერთობისას დაწესებულება ცდილობს მიიღოს რაც შეიძლება მეტი და საინტერესო შესაძლებლობები სტუდენტებისთვის, იქნება ეს სტაჟირება, ნახევარ თუ სრულ განაკვეთზე მუშაობის შესაძლებლობა. თუ უნივერსიტეტის პოლიტიკა იქნება მიმართული იქითკენ, რომ ერთი ორი ან თუნდაც სამი წლით ადრე მიიღოს ინფორმაცია და თან დაავალდებულოს ორგანიზაციები სტუდენტებისთვის სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების ხანგრძლივობასა და რაოდენობის თაობაზე, ეს ცხადია არ მისცემს დაწესებულებას სასურველ შედეგს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ რაც უფრო მეტი თავისუფლება აქვს ორგანიზაცის თავისი საჭიროებების მიხედვით გამოაცხადოს ვაკანსია სტაჟირებასა და დასაქმებაზე, მით უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება სტუდენტებისთვის, რომელთა დასაქმება ისედაც მოიცავს გარკვეულ ვალდებულებას ორგანიზაციების მხრიდან, თუ გავითვალისწინებთ გამოუცდელი კადრების დასაქმების სპეციფიკას.

აღსანიშნავია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნული არავალიდურია და რჩევის კატეგორიას უფრო მიესადაგება, ვინაიდან საგნის, ,,მუშაობა ორგანიზაციაში“ სილაბუსში განსაზღვრული შეფასება შესაბამისობაშია მინისტრის N3 ბრძანებასთან.

მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად ადგენს სამოქმედო გეგმის ანგარიშს, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შედეგები, მათ შორის

მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის. მონიტორინგის მიზნით, პროგრამაზე მუდმივად ტარდება ყოველკვირეული შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობს რექტორი, პრორექტორები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლის დეკანი, სკოლის კოორდინატორი, საჭიროების შემთხვევაში აკადემიურ პერსონალი და სხვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა არა მართვასა და სოციალურ მეცნიერებებზე, არამედ მეტად ჰუმანიტარული მეცნიერებებისკენ არის მიდრეკილი. ექსპერტები მუშაობის პროცესში ადგილზე მაქსიმალურად ცდილობდნენ რომ აქცენტი ყოფილიყო სოციალურ მეცნიერებებზე და სწორედ აქედან გამომდინარეობდა მათ მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები. რაც შეეხება Libre Magni-ს ციკლს, აღნიშნული წარმოადგენს წიგნზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც სავსებით მისაღებია, მაგრამ სილაბუსებში მოცემულ მიზნებსა და შედეგებში არ ჩანს კავშირი სოციალურ მეცნიერებებთან. გარდა ამისა, როდესაც მიზანს წარმოადგენს ფართოდ საკითხის განხილვა და ამ კუთხით განათლების მიცემა , ერთი წიგნით სწავლება მიუღებელია და არ პასუხობს სტუდენტისთვის ფართო თვალსაწიერის მიცემის საკითხებს.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ რეკომენდაციაში არ არის საუბარი მხოლოდ ზოგად განათლებაზე, არამედ კარგად სწავლებაზც. შედეგების აგების მრავალი ვერსია არსებობს, თუმცა სამწუხაროდ მოცემულიი პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი შედეგების მიხედვით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ შედეგზე რომელი სასწავლო კურსი გადის. რაც შეეხება სასწავლო კურსებს, შედეგები არის აღწერილი, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში არ არის მოცემული თუ რა შინაარსზე არის ორიენტირებული.
საყურადღებოა ასევე შეფასების ანგარიშების ნაკლებობა, კერძოდ იდენტიფიცირებული იყო მხოლოდ შეფასების სისტემა და მოდელი, თუმცა მისი კომბინირებული და ანალიტიკური გააზრების შესაძლებლობა, რაც ხარისხის განვითარებისთვისაა მნიშვნელოვანი, მსგავსი დოკუმენტი დაწესებულებაში არ არის.
რაც შეეხება პოლიტიკური მეცნიერებების კურსთან არსებულ შედეგებს, რომელიც შესავალი კურსის სახით დაადგინა, ფაქტია, რომ საჭიროა წინსწრები კურსები, რაც სამწუხაროდ არ არის განსაზღვრული.
ექსპერტთა დასკვნაში დეტალურად არის განსაზღვრული როგორც რეკომენდაციები ასევე რჩევები, ამიტომ ექსპერტები დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას რეკომენდაციების რჩევებად განსაზღვრის შესახებ არ მიიღებს. მნიშვნელოვანია, რომ მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე პროგრამა პირველ და მეორე სტანდარტთან მიმართებით ვერ იქნება შეფასებული როგორც სრულიად შესაბამისი აკრედიტაციის სტანდარტებთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა კურიკულუმის ჰუმანიტარული მეცნიერებებისკენ გადახრის შესახებ განმარტა, რომ აღნიშნული კრედიტების რაოდენობით დათვლადია და კალკულაცია არის შესაძლებელი თუ საითკენ იხრება პროგრამა. ზოგადად ითვლება, რომ ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები მარტივად არ არის გამიჯნული, აღნიშნული არის მეთოდოლოგიის საკითხი. საყურადღებოა ასევე, რომ LIbre Magni-ს კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება ნიშნავს მსოფლიოში აღიარებული სწავლის მეთოდის უგულებელყოფას. თავისუფალი უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც მოცემული მეთოდი დაამკვიდრა.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია ექსპერტთა პოზიცია Libre Magni-სთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ Libre Magni-ს წინააღმდეგი არავინ არ არის, უბრალოდ, სწალება ხდება მხოლოდ ერთი წიგნით, რაც მიუღებელია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა არის თუ არა რელევანტური შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში მხოლოდ 4 დამსაქმებლის გამოკითხვა და გეგმავს თუ არა დაწესებულება

ამ კუთხით გაფართოებას. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ,,პროექტების მართვის“ სასწავლო კურსს არ აქვს პრერეკვიზიტი, შესამამისად უმჯობესი იქნებოდა მენეჯმენტის კუთხით რომელიმე სასწავლო კურსის შეთავაზება.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ასევე დააზუსტა თუ რატომ არ მოიცავს უნივერსიტეტის პოლიტიკა დამოუკიდებელი ბიუჯეტის არსებობას. თუმცა აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის საფუძველზე ცალსახად შეიძლება დადგენა იმისა, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ გასაჩივრების ინსტიტუცის ფორმალიზება მნიშვნელოვანია, თუმცა, ზედმეტი ფორმალობა ხშირად იწვევს ბიუროკრატიას. შეიძლება წაკითხვის დროს ყველაფერი იყოს გასაგები, თუმცა აღსრულების დროს შესაძლოა წინ იყოს მეტი ბარიერი. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს აპელაციებთან დაკავშირებით სტუდენტებთან კომუნიკაცია და გამოიკვეთა თუ არა რეალური პრობლემები.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ რჩევების ნაწილი ეხება სასწავლო კურსებსა და მათ შინაარს, შესაბამისად დააზუსტა რამდენად ატარებენ ისინი რჩევის და არა რეკომენდაციის ხასიათს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სპეციალობის არჩევითი საგნები გადატანილია შედეგების კურიკულუმში და წარმოდგენილია გარკვეული სასწავლო კურსებით, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ როგორ ხდება არჩევითი საგნებით სწავლის შედეგებზე გასვლა. გარდა ამისა საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამის დასახელებაა მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა, ხოლო კურიკულუმის მიხედვით, მართვის ბლოკის საგნების უმრავლესობა არჩევით საგნებად არს წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მე-3 რეკომენდაცია და დააზუსტა ნამდვილად არის თუ არა არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილ საგნებში ლიტერატურით დაფარული აუცილებელი და მნიშვნელოვანი საკითხები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აპელაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტანდარტებიდან გამომდინარე, სავალდებულო სტუდენტთან მიმართებაში სამართლიანობის შესანარჩუნებლად არსებობდეს აპელაციის შესაძლებლობა. სტუდენტებთან შეხვედრის პირობებში დადასტურდა, რომ ლექტორის მიღმა მოცემული პროცესი არ გრძელდება, რადგან ფორმალურად არც არსებობს მოცემული შესაძლებლობა. შესაბამისად, აუცილებელია არსებობდეს მინიმუმ ის შესაძლებლობა, რომ ლექტორის მიღმა ინსტიტუციის შიგნით სტუდენტს შეძლოს აპელაციის შეთავაზების გამოყენების შესაძლებლობა.
რაც შეეხება რეკომენდაციებისა და რჩევების დიფერენციაციის საკითხს, დასკვნაში თითოეულ რეკომენდაციასა და რჩევას აქვს თავისი აღმწერი, რომელიც დადასტურებული და არგუმენტირებულია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ საკმაოდ დიდი დრო დახარჯეს რეკომენდაციებისა და რჩევების დიფერენციაციის მიზნებისთვის.
მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა არის მართვისა და სოციალური მეცნიერებების, შესაბამისად, მართვასთან მიმართებაში, არჩევითი საგნების სახით იდენტიფიცირებული კურსების შევსება წარმოადგენდა ექსპერტთა რეკომენდაციას. რაც გულისხმობს მართვის ნაწილის საგნობრივად გამდიდრებას, ვინაიდან თავად პროგრამის სახელწოდებასთანაც ყოფილიყო შესაბამისობაში.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, სწავლის შედეგებს შორის შედეგი # 4 -ის შემთხვევაში - „კარგად ერკვევა თანამედროვე პოლიტიკურ თეორიებსა და სისტემებში და კომპეტენტურად მსჯელობს მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ პროცესებზე“ ჩნდება კითხვა, თუ რამდენად უზრუნველყოფს ამ შედეგის დადგომას პროგრამა, ვინაიდან პროგრამაში არ ისწავლება არ პოლიტიკის მეცნიერების შესავალი და არც პოლიტიკური სისტემები/შედარებითი პოლიტიკა და მისი მიღწევა თანამედროვე პოლიტიკური

იდეოლოგიების, რელიგიისა და პოლიტიკის, ან თუნდაც საერთაშორისო ურთიერთობაზე ფოკუსირებული კურსის - მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის და საბჭოთა კულტურა და პოლიტიკის კურსიდან გამომდინარე მსგავსი შედეგის მიღწევა, ნაკლებ რეალისტურად გამოიყურება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ,, შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში" არის ერთადერთი საუკეთესო გამოსავალი შედეგის მისაღწევად.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ რჩევებს მნიშნელოვანი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს და დააზუსტა თუ რამდენად წარმოადგენენ აღნიშნული რჩევებს და არა რეკომენდაციებს. შესაბამისად, დაინტერესდა თუ რა შედეგი შეიძლება მოყვეს მათ არ გათვალისწინებას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რჩევების ნაწილი, სწორედ იმ მიზნით განისაზღვრა, რომ რჩევების არ გათვალისწინება სტანდარტთან მიმართებით პრობლემებს არ ქმნის, თუმცა პროგრამის განვითარებისა და სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ათივე რეკომენდაციის გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს პროგრამები, რომლებიც იქნება დეფიციტური შინაარსის. პროგრამებმა უნდა მოახდინონ ერთმანეთის ჯვარედინი სუბსიდირება, შესაბამისად, ჯობია, რომ არსებობდეს საერთო ბიუჯეტი.
რაც შეეხება აპელაციის მექანიზმს, აღსანიშნავია, რომ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროგრამები აკრედიტებულია იმ სტანდარტის მოქმედების პირობებში, რასაც იყენებენ აკრედიტაციის ექსპერტები მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის შესაფასებლად. უნივერსიტეტის არც ერთ პროგრამაზე არ მოქმედებს გასაჩივრების განსაკუთრებული წესი. სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს ლექტორს შეფასების გადახედვის მოთხოვნით, ხოლო ლექტორი სტუდენტს აწვდის უკუკავშირს. თუ ლექტორი მიიჩნევს, რომ სტუდენტის მოსაზრებები არის მართებული, ის უფლებამოსილია შეცვალოს შეფასება, ხოლო თუ სტუდენტი არ კმაყოფილდება ლექტორის შეფასებით, ის უფლებამოსილია გამოიყენოს შეფასები გასაჩივრების კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა. დაწესებულება არ გეგმავს ლექტორის მიერ განსაზღვრული შეფასების კომისიურად შემოწმებას და შესაბამისად, არც კომისიის მიერ განსაზღვრული შეფასების გასაჩივრების მიზნით ცალკე კომისიის შექმნას. მსგავსი სტრუქტურები, როგორც წესი იწვევს მხოლოდ სტუდენტის ინტერესების დაზარალებას, მიიღოს ხარისხიანი განათლება და ლექტორების ავტორიტეტის და ავტონომიურობის აპრიორი კითხვის ქვეშ დაყენებას, შესაბამისად, დაწესებულება მოცემულ რეკომენდაციას არ ეთანხმება.
გამოკითხულ დამსაქმებლებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაფართოება ნამვილად შესაძლებელია, თუმცა ზოგადად დაწესებულება მუდმივად ხვდება დამსაქმებლებს და მათ შორის დამსაქმებლების ნაწილი დაწესებულების ლექტორები არიან, შესაბამისად, უშუალოდ პროგრამის შემუშავებაში არიან ჩართულნი.
რაც შეეხება სპეციალობის საგნებსა და მათ სწავლის შედეგებს, შედეგების რუკის მიხედვით, არც ერთი კონკრეტული შედეგი არ არის მიბმული მხოლოდ ერთ სპეციალობის ან თავისუფალ არჩევით საგანს. გარკვეული შედეგები სხვადასხვა საგნების ნაკრებით მიიღწევა, შესაბამისად, სპეციალობის არჩევითი საგნები არის შედეგის მიღწევის დამატებითი და არა ერთადერთი გზა.
მნიშვნელოვანია ასევე ,,პროექტების მართვის" სასწავლო კურსის პრერეკვიზიტის საკითხი, კერძოდ მნიშვნელოვანია, რომ კურსი აგებულია ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროექტის მართვის პროგრამის მიხედვით და აღსანიშნავია, რომ თავადაც ამ პროგრამასაც არ აქვს პრერეკვიზიტი, ხოლო თავისუფალ უნივერსიტეტში ყველა ლექტორს რომელიც ასწავლის აღნიშნულ სასწავლო კურსს, გავლილი აქვს მოცემული პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე პოლიტიკურ საგნებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ შემოთავაზებული საგნების დამატების საჭიროება არ დასტურდება არც ფაქტობრივი და არც საკანონმდებლო თუ დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნით და შესაბამისად, პირადი მოსაზრებისა თუ გემოვნების საკითხია და იჭრება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ამ სწავლის შედეგის მიღწევა უზრუნველყოფილია არა მხოლოდ ექსპერტთა მიერ ჩამოთვლილი საგნებით, არამედ შემდეგით: თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები, რელიგია და პოლიტიკა, კავკასია და საქართველო, იდეების ისტორია IV, სამართალი და ეკონომიკა, ქართული აზრის ისტორია, საჯარო პოლიტიკის პროცესი I, საჯარო პოლიტიკის პროცესი II, ჯუნიორ პროექტი, საბჭოთა კულტურა და პოლიტიკა, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი, მმართველობის და ძალაუფლების თეორიები, საბაკალავრო ნაშრომი. გამომდინარე აქედან, დაწესებულება მიიჩნევს, რომ სწავლის შედეგის მიღწევა უზრუნველყოფილია პროგრამის არსებული კურიკულუმით.
ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში არ ისწავლება არ პოლიტიკის მეცნიერების შესავალი და არც პოლიტიკური სისტემები/შედარებითი პოლიტიკა და მისი მიღწევა თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიების, რელიგიისა და პოლიტიკის, ან თუნდაც საერთაშორისო ურთიერთობაზე ფოკუსირებული კურსის - მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის და საბჭოთა კულტურა და პოლიტიკის კურსიდან გამომდინარე მსგავსი შედეგის მიღწევა, ნაკლებ რეალისტურია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რო ყველა ზემოაღნიშნული თემა პროგრამის ფარგლებში განხილულია, რაც დასტურდება შესაბამის სილაბუსებში არსებული თემატიკით, შესაბამისად დაწესებულება ექსპერტთა მოსაზრებას ამ კუთხით არ ეთანხმება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ მართვის კომპეტენციის უზრუნველყოფილი სასწავლო კურსების უმეტესობა არის წარმოდგენილი სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსების სახით. შესაბამისად, რამდენად გავა სტუდენტი მართვის კომპეტენციაზე სრულყოფილად, თუ არ აირჩევს შესაბამის საგნებს, სხვა სასწავლო კურსები რამდენად უზრუნველყოფენ მართვის კომპეტენციებზე გასვლას. აღსანიშნავია რომ პროგრამის ფარგლებში სოციალური მეცნიერებებისა და მართვის საკითხები შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი. შესაძლოა ისინი გაფანტულია სილაბუსებში თუმცა საბჭოს წევრმა აღნიშნული ვერ ნახა. პროგრამის ფარგლებში არ ჩანს მართვის სოციოლოგიის, მართვის ფსიქოლოგიის, სოციალური სისტემების, სოციალური თეორიების ძირითადი საკითხები, რაც სოციალური მართვისთვის აუცილებელია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა არის მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა, ხოლო ბაკალავრის ხარისხი პირს ენიჭება სოციალურ მეცნიერებებში, შესაბამისად, უფრო დიდი ნაწილი ეთმობა სოციალური მეცნიერებების საგნებს. რაც შეეხება კონკრეტულად მართვის ნაწილს, აღნიშნული ასევე წარმოადგენს ერთ-ერთს და არა უმთავრეს კომპონენტს. აქედან გამომდინარე მართვის კომპონენტში წარმოდგენილია, პროექტის მართვა და კომუნიკაციის ფსიქოლოგია, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ფარავს მართვის ფსიქოლოგიის საკითხებს. სპეციალობის არჩევით ბლოკში სტუდენტს მართვის საკითხებით დაინტერესების შემთხვევაში აქვს შესაძლებლობა აირჩიოს სასურველი სამი სასწავლო კურსი. რაც შეეხება სოციალური მეცნიერებების საგნებს, აღნიშნული მოიცავს ეკონომიკასთან და ფსიქოლოგიასთან დაკავშირებულ სასწავლო კურსებს. არის ასევე სოციოლოგიის მიმართულებები, ანთროპოლოგიის მიმართულები და სამართლის კომპონენტი. ცალკე ასევე არის სოციალური მეცნიერებების ინტერდისციპლინარული ბლოკი.

16:03- საბჭოს სხდომას შეუერთდა თამარ ჩხეიძე

დაწესებულების ასევე წარმომადგენელმა განმარტა, რომ მართვა პროგრამის ფარგლებში გაგებული უნდა იყოს როგორც განათლებული და ლოგიკაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:10
დასრულების დრო: 17:10
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და 1.1 და 2.2 ქვესტანდარტები ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეაფასა რო გორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შესაბამისად, პირველი სტანდარტი ნაცვლად "მეტწილ ად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

საბჭომ რეკომენდაციები ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდირებულია დაზუსტდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რათა შესაძლებელი იყოს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.
2. რეკომენდებულია პროგრამის და ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გასაუმჯობესებლად.
3. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში დაზუსტდეს წინაპირობები და სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სია.
4. რეკომენდირებულია დაზუსტდეს პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში/ მემორანდუმებში პრაქტიკის მიზანი, ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა.
5. რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (2007 წლის 5 იანვარი) ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1. ეკონომიკის საფუძვლები, 2. თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები, 3.კავკასია და საქართველო, 4. ქცევითი ეკონომიკა, 5. რელიგია და პოლიტიკა, 6. რელიგიების საფუძვლები (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი), 7. Libri Magni I, 8. Libri Magni II და 9. Libri Magni VIII სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების ფორმატისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრა და მეთოდებიდან გამომდინარე შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების მითითება.
6. რეკომენდებულია, შემუშავდეს პრაქტიკული კომპონენტის „მუშაობა ორგანიზაციაში" სილაბუსში დამსაქმებლის მხრიდან სტუდენტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები, რათა შეფასება იყოს გაზომვადი და სტუდენტი არ ფასდებოდეს მხოლოდ 20 ან 0 ქულით და განხორციელეს 0-20-ს შორის შესაბამისი რანჟირების სისტემით.
7. რეკომენდებულია, მოხდეს სტუდენტის მხრიდან შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმის ინსტიტუციონალიზება და უნიფიცირება.
8. რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული საქმიანობის მეტად ფორმალიზება, რაც გულისხმობს საქმიანობის ამსახველი და დამადასტურებელი ოფიციალური ანგარიშების მომზადებას, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:

1. სასურველია დაიხვეწოს და დაკონკრეტდეს პროგრამის პირველი მიზანი.
2. სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ფარგლები გაიწეროს შესაბამისი შედეგების მიღწევის (მაგ., გაცნობის, გაღრმავების თუ განმტკიცების დონეზე) დონის აღმნიშვნელი განმარტებების დონეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას იმის დადგენა, თუ რა დონეზეა მიღწევადი ესა თუ ის პროგრამის ფარგლებში მისაღწევი შედეგი. ანალოგიური მიდგომა სასურველია გამოყენებული იყოს სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან თავსებადობის რუკის შემთხვევაშიც.
3. სასურველია, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მიმართავდეს სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა გამოკითხვას ე.წ. პროცესზე მიდევნების მეთოდით (Process Tracing Method) და შესაბამისი გამოკითხვის ფორმებიც ინტეგრირებული იყოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.
4. პროგრამის თანმიმდევრულობისა და მარტივიდან რთულისკენ დაგეგმვის პრინციპის გათვალისწინებით, სასურველიაშედარებით ზედა საფეხურის კურსების შედეგების უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაში მოხდეს წინმსწრები საგნების ინტეგრირება. მაგალითად, მოხდეს საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი კურსის დამატება მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის კურსის ასაღებად; პოლიტიკური მეცნიერების შესავლისა და შედარებითი პოლიტიკის საგნის ინტეგრირება პროგრამის მესამე შედეგის მისაღწევად. პოლიტიკური მეცნიერების შესავალი კურსის აუცილებლობა იკვეთება სასწავლო კურსის: „Libri Magni VII - US - აშშ პოლიტიკა“ - გასავლელადაც.
5. სასურველია პროგრამის კურიკულუმის ჰუმანიტარული დისციპლინის რვა სემესტრიანი სერიული ციკლის - ‘დიადი წიგნები’ [Libri Magni] და ოთხსემესტრიანი სერიული ციკლის ‘იდეების ისტორია’ სოციალურ მეცნიერებებისთვის რელევანტურ ჭრილში განხილვაზე მეტი აქცენტირება როგორც თავად პროგრამაში, ისე თითოეულ სილაბუსში, რათა ამ კურსების საერთო პროგრამულ შედეგებთან შესაბამისი დაკავშირება გაცილებით რელევანტურად გამოიყურებოდეს.
6. სასურველია მართვის მოდულის ფარგლებში წარმოდგენილ სასწავლო კურსებში ინტეგრირდეს მართვის დამატებითი საკითხები.
7. მიზანშეწონილია, პროგრამის კურიკულუმში მაქსიმალურად ინტერდისციპლინარული სწავლების შინაარსის მიზნობრივი დაბალანსების და, კერძოდ, საგნებს შორის თემატიკის გადაფარვის თავიდან აცილების მისაღწევად „ფილოსოფიის“ კურსის შინაარსი - ‘ფილოსოფიური იდეების’ ერთგვარად აკუმულირებული და თავისებურად ინტერპრეტირებული ფორმით - გაემიჯნოს „იდეების ისტორიის“ დისციპლინის თემატური მასალის ანალოგიას.
8. სასურველია გაიზარდოს სტუდენტების პირდაპირი მონაწილეობის შესაძლებლობები პროგრამის შექმნასა და თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობაში მათი მონაწილეობის გზით.
9. სასურველია, საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ნათლად, დამდგარი (დასრულებული) სწავლის შედეგის (და არა სამომავლო მოქმედების) წარმოდგენით.
10. სასურველია კურსის - „რაოდენობრივი კვლევის მეთოდების“ სილაბუსის თემატიკას დაემატოს ექსპერიმენტი, როგორც სოციალური მეცნიერებათა კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიდგომა.
11. სასურველია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნის „ფსიქოლოგია“ მეორე მოდული - „სოციალური ფსიქოლოგია“ დაზუსტდეს საკითხავი მასალის მითითებით, ხოლო მესამე მოდულის - „პიროვნება“ ფარგლებში წარმოდგენილი ლიტერატურა გადაიხედოს და ჩანაცვლდეს თანამედროვე ლიტერატურით.

12. სასურველია, სასწავლო კურსის „თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიების“ დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს მის შინაარსთან და ეწოდოს ან შესავალი პოლიტიკურ იდეოლოგიებში ან კლასიკური პოლიტიკური იდეოლოგიები.
13. მიზანშეწონილია, „ლიტერატურა და ხელოვნების“ და “ფილოსოფიის“' სასწავლო კურსის სილაბუსებში მიეთითოს გამოსაყენებელი ბიბლიოგრაფიული მასალა, ხოლო მითითების შემთხვევაში - არ იყოს წარმოდგენილი მხოლოდ თემატური ტექსტი-პირველწყაროების დასახელებათა ჩამონათვალი - წიგნის ფორმატის ამსახველი ზუსტი საგამომცემლო რეკვიზიტების გარეშე.
14. პროგრამის კურიკულუმში მაქსიმალურად ინტერდისციპლინარული სწავლების შინაარსის მიზნობრივი დაბალანსების პრინციპით - ფილოსოფიური მიმართულების მოქმედ სასწავლო კურსებში მიზანშეწონილია, „ფილოსოფიის“ სასწავლო კურსის ჩანაცვლება მოდიფიკაციური ვერსიით - „შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში“, რითაც კურიკულუმის სტრუქტურაში მოიხსნება ერთგვარი ალოგიკურობის ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია დღეს ამ სახელწოდებებით მოქმედი კურსებით - „ფილოსოფია“ და ’ „ფილოსოფია როგორც პრობლემის გადაჭრის დისციპლინა“.
15. სასურველია „ფილოსოფიის“ სასწავლო კურსი ფარავდეს ფილოსოფიის დარგობრივი ტერმინოლოგიისა და პრაქტიკული ფილოსოფიის დარგთაშორის ცნებით აპარატს, რომელიც პროგრამის ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე ფილოსოფიის სოციალურ მეცნიერებებთან დასაკავშირებლადაა რელევანტური.
16. სასურველია, „იდეების ისტორიის“ სასწავლო კურსის თემატურ მასალაში წარმოდგენილი მითოლოგიური ჰიპოთეზების, რელიგიური სისტემების, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი იდეების სოციალური გენეზისის კონკრეტულ პრობლემებზე აქცენტირება მეტად დეტალურად განხორციელდეს.
17. სასწავლო კურსი - საჯარო პოლიტიკის პროცესი II სასურველია დაზუსტდეს როგორც პრაქტიკუმი, ვინაიდან სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათები მთლიანად ეთმობა მოწვეული სტუმრების პირობებში წარმოდგენილი თემატიკის განხილვას.
18. მიზანშეწონილია, რომ რვა სემესტრიანი სერიული ციკლი - ‘დიადი წიგნების’ [Libri Magni] სილაბუსებს დაემატოს აღნიშნული წიგნების შესახებ რელევანტური სხვა როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურა, რაც განსახილველი ტექსტის სხვა ტექსტებთან შედარების, წიგნის შექმნის ისტორიული და სოციალური კონტექსტის გაანალიზებისა და მასში წამოჭრილი პრობლემური საკითხების სოციალური მეცნიერებებისთვის რელევანტურ თანამედროვე პრობლემებთან დაკავშირების შესაძლებლობებს გაუზრდის სტუდენტებს.
19. სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომების განსაზღვრისას, მიზანშეწონილია იმის გათვალისწინება, რომ ინტერაქტიური მეთოდი, როგორც თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში სწავლების ფართოდ გამოყენებული და აპრობირებული წესების სისტემა, მოცემულ შემთხვევაში - პროგრამის კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან და ლიბერალური განათლების სოციალური კონტექსტის 30 თავისებურებიდან გამომდინარე - არ გულისხმობდეს მხოლოდ ე. წ. ‘სოკრატეს მეთოდის’ დომინანტობას, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია წარმოდგენილი და იტოვებდეს რესურსს სხვა მეთოდების დასაინტეგრირებად, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ამ რეალობას პროგრამა ნამდვილად ადასტურებს.
20. სასურველია, მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების კომპონენტის შემადგენლობა უფრო დაკონკრეტდეს [მეტად გაზომვადი შედეგების მისაღწევად], კერძოდ - მასში გამოიყოს მეთოდოლოგიის ორი სექტორი: სალექციო მუშაობის მეთოდები და ჯგუფში აქტივობების ანუ პრაქტიკული მუშაობის მეთოდები [შესაბამისად, ‘ჯგუფური მუშაობა’ და ‘პრაქტიკული მეთოდები’ - როგორც

ცალკე აღებული მეთოდის ტიპის - ფორმალური დასახელება გაუქმდეს]. მითითებულ კორექტირებულ სქემაში მიზანშეწონილი იქნება გარკვეული ცვლილებების შეტანა როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი ასპექტით.

21. სასურველია უსდ-მ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ კონტროლის მიზნით დანერგოს პლაგიატის პროგრამა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო/კვლევითი ხასიათის, მათ შორის ჯუნიორ პროექტისა და საბაკალავრო ნაშრომის შეფასებისთვის ძირითადი პრინციპების - სანდოობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის გასაძლიერებლად.
22. სასურველია საგამოცდო ნაშრომების დაშიფვრის მექანიზმის დანერგვა;
23. სასურველია საგნის სილაბუსებში, შეფასების ობიექტურობის პრინციპების გათვალისწინებით, მოხდეს შეფასების გრადაციებს შორის თანაბარი ინტერვალების დაცვა, ასევე განხორციელდეს კურსის შეფასების სისტემის გრადაციებში შესაბამის აღმწერებთან მიმართებაში განსაზღვრული ქულის თავსებადობის გადახედვა.
24. სასურველია მეტი ინფორმაცია ჰქონდეს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აფილიაციის პირობების შესახებ, ისევე როგორც სხვა მხარდამჭერი ინსტრუმენტების შესახებ, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს საკუთარ აკადემიურ პერსონალს განვითარებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.
25. სასურველია უნივერსიტეტი მეტად აქტიურად ადევნებდეს თვალს და იცავდეს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის საკუთარი რეგულაციებით დადგენილ ნიშნულებს.
26. სასურველია, რომ პილოტური რეჟიმიდან დროის მცირე მონაკვეთშივე მოხდეს აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემის სრულყოფილი ინტეგრირება სამეცნიერო და სასწავლო პროდუქტიულობის შედეგებზე დაყრდნობით პერსონალის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და შემდგომი წახალისების მიზნით.
27. სასურველია, თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები და მოახდინოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერაზე ორიენტირებული საჭიროებების დაკმაყოფილება არა წერტილოვანი დახმარებით, რასაც დღეს აქვს ადგილი, არამედ გამართული საუნივერსიტეტო ინსტიტუციური მექანიზმების ფორმალიზებული შეთავაზებით, რომლის საბიუჯეტო მხარდაჭერაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისად, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა აღნიშნულის ფინანსური რეზერვები გაწერილია.
28. სასურველია დამსაქმებლების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფა, შესაბამისი ანაგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება მათი რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება.
29. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას.
30. სასურველია დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის.
31. სასურველია სასწავლო კურსის სწავლის შედეგის პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან შესაბამისობა განისაზღვროს მიღწევის დონის დაკონკრეტებით, მაგ: გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის რუკის მაღალ დონეს პროგრამის ფუნქციონალთან მიმართებაში.

32. სასურველია სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში დაკონკრეტდეს სასწავლო კურსის სწავლის შედეგის გაზომვისთვის საჭირო აქტივობა/ფორმა და ასევე შეიქმნას ამ შედეგის გაზომვის ინდიკატორის დონე (მაგ: ვერ აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს ან სხვა მსგავსი სისტემა), რაც უზრუნველყოფს შემდგომი სტატისტიკური ანალიზის მაღალ რეპრეზენტაბელობას.
33. სასურველია პროგრამის შედეგების მეტი თვალსაჩინოებისათვი სხვა ანალოგ საერთაშორისო პროგრამებთან დადარება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2.მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 07 ნოემბრის N198 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრამის წინა დასახელება	ფარმაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	

		ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია Pharmacy - 0916
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი,0186 (0177), ვაჟა-ფშაველასგამზ., 33
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- გაიანე სიმონიამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა 2019 წლის 7 ნოემბერს (გადაწყვეტილება N198). საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესი შედგა 2019 წლის 17-18 სექტემბერს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს N744 ბრძანების თანახმად. ექსპერტთა ჯგუფი: დოქტ. ნ. შაშიაშვილი, სტუდენტი ექსპერტი ლ. ბოკუჩავა. ექსპერტთა კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის სრული შესაბამისობა აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა რეკომენდაციები, მხოლოდ პროგრმის განმავითარებელი რჩევები, რომელთაგან ნაწილის რეალიზაცია შესაძლეებელი გახდა ეტაპობრივად. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 7 წლით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა თბილისის სახელმწიფო

სამედიცინო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია არაგეგმიური მონიტორინგი. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის სამსახურებთან დათქმის თანახმად, საგანამანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების ქვერუბრიკა ცოდნა-გაცნობიერება ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მეექვსე დონის შესაბამისი გაზომვადი კრიტერიუმების საშუალებით.
2. მოვიდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განალებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ფაკულტეტის დეკანმა მადლობა გადაუხადა ცენტრსა და ექსპერტებს მონიტორინგის ფარგლებში გაწეული შრომისთვის და ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება საკითხის შეჯერება უცხო ენის ინსტიტუტთან და შესაბამისად მოხდება ახალი სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბება.
რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად გაიმართება კოლეგიალური მსჯელობა, ხარისხის სამსახურთან ერთად. აქედან გამომდინარე მაქსიმალურად იქნება ექსპერტთა რეკომენდაცია გათვალისწინებული
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:37
დასრულების დრო: 17:46
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი და განსაზღვრა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

3. მესამე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ანალიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცევტული ანალიზი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 07 ნოემბრის N199 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრამის წინა დასახელება	ფარმაცევტული ანალიზი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაცევტული ანალიზის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 ფარმაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი,0186 (0177), ვაჟა-ფშაველასგამზ., 33
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა - გაიანე სიმონიამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცევტული ანალიზი, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა 2019 წლის 7 ნოემბერს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N 199 გადაწყვეტილება). ექსპერტთა კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის სრული შესაბამისობა აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან. ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა რეკომენდაციები, მხოლოდ პროგრმის განმავითარებელი რჩევები, რომელთაგან ნაწილის რეალიზაცია შესაძლებელი გახდა ეტაპობრივად. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 7 წლით.
სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცევტული ანალიზი არაგეგმიური მონიტორინგი. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის სამსახურებთან დათქმის თანახმად, საგანამანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების ქვერუბრიკა ცოდნა-გაცნობიერება ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მეშვიდე დონის შესაბამისი გაზომვადი კრიტერიუმების საშუალებით.
2. მოვიდეს უცხოური ენის სასწავლო კურსის სილაბუსში (რომლის სახელწოდება უნდა იყოს დარგობრივი უცხოური ენა და არა სპეციალური!) წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.
3. მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებლად იქნეს გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, ან სულ მცირე გაჩნდეს ჩანაწერი საკუთრივ კურიკულუმის ტექსტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ცენტრსა და ექსპერტებს მონიტორინგის ფარგლებში გაწეული შრომისთვის და ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად გაიმართება კოლეგიალური მსჯელობა, ხარისხის სამსახურთან ერთად. აქედან გამომდინარე მაქსიმალურად იქნება ექსპერტთა რეკომენდაცია გათვალისწინებული
მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება საკითხის შეჯერება უცხო ენის ინსტიტუტთან და შესაბამისად მოხდება ახალი სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბება.
რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, თუ კი იქნება მოთხოვნა, რა თქმა უნდ ამცირე ჩანაწერი გაკეთდება კურიკულუმში ბიუჯეტის შესახებ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:37
დასრულების დრო: 17:47

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ანალიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი და განსაზღვრა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ანალიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ფარმაცევტული ანალიზის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

4.მეოთხე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 03 ოქტომბრის N184 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრამის წინა დასახელება	ფარმაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე

9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია Pharmacy - 0916
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი,0186 (0177), ვაჟა-ფშაველას გამზ., 33 სასწავლო კორპუსიIV
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- გაიანე სიმონიამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა ფარმაციის სადოქტორო პროგრამა, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა 2019 წლის 3 ოქტომბერს (გადაწყვეტილება N184). საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესი შედგა 2019 წლის 26 ივლისს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 17 ივლისის N613 ბრძანების თანახმად. ექსპერტთა კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის სრული შესაბამისობა აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა რეკომენდაციები და რაიმე ტიპის რჩევაც კი. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 7 წლით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია არაგეგმიური მონიტორინგი. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის

სამსახურებთან დათქმის თანახმად, საგანამანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.
რაც შეეხება საუკეთესო პრაქტიკას, აღნიშნულს წარმოადგენს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კვლევის პროცესების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესს. მსგავსი ფორმატი განაპირობებს მეტწილად საკვალიფიკაციო ნაშრომის სავალდებულო ვადებში წარდგენას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მოვიდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ცენტრსა და ექსპერტებს მონიტორინგის ფარგლებში გაწეული შრომისთვის და ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციაზე, კერძოდ აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება საკითხის შეჯერება უცხო ენის ინსტიტუტთან და შესაბამისად მოხდება ახალი სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბება.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:37
დასრულების დრო: 17:46
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი და განსაზღვრა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ "ფარმაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

5.მეხუთე საკითხი: სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 02 მაისის N109 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრამის წინა დასახელება	აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0721 სურსათის გადამუშავება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის #59
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა სახელწოდებით „სუბტროპიკული კულტურების ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია“ ხორციელდება 2011 წლიდან (აკრედიტაციის თარიღი №21. 16.09.2011წ.) 2013 წლიდან პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და მომდევნო აკრედიტაციამდე, რომელიც განხორციელდა 2019 წელს, მისი სახელწოდება იყო ,, აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“. 2020 წლის ოქტომბერში პროგრამას კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის კუთხით დაერქვა ახალი სახელწოდება ,, სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზა“, აღნიშნული ცვლილების შესახებ ეცნობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
პროგრამა ემსახურება აგრარული დარგის სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულებას, კერძოდ, ამზადებს ფართო პროფილის სპეციალისტებს სუბტროპიკული კულტურების გადამუშავების პროდუქტების (ჩაი, თამბაქო, ეთერზეთები, ცხიმზეთები, ღვინო, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, მინერალური სასმელები, ხილ-ბოსტნეული) ტექნოლოგიაში. აკრედიტაციის პერიოდიდან (2019) დღემდე პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, გათვალისწინებული იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის და აკრედიტაციის საბჭოს წევრების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები.
ამჟამად მოხდა პროგრამის მონიტორინგი, შესაბამისად უნივერისტეტში ვიზიტი არ განხორციელებულა, ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ყველა დოკუმენტაცია, აგრეთვე ის დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც მათ მიერ იქნა მოთხოვილი. თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, აგრეთვე ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესწავლის და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა: საბაკალავრო პროგრამის ,,სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. აკრედიტაციის ჯგუფის წევრების მუშაობის შემდეგ გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელახალი წარდგენის მიზეზი იყო სახელწოდების ცვლილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დააზუსტა ახალ ჩარჩოსთან გადაყვანა განხორციელდა თუ იგეგმება აღნიშნულის განხორციელება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის განსახილველად გადაგზავნის დროს აღნიშნული უკვე გადაყვანილი იყო ახალ ჩარჩოსთან შესაბამისობაში. სილაბუსებიც და კურიკულუმიც არის ახალ კომპეტენციაზე გადაყვანილი.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:02
დასრულების დრო: 18:07
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი და განსაზღვრა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ "სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მოდის დიზაინი და ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 26 მარტის N70 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრამის წინა დასახელება	მოდის დიზაინი და ტექნოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო ტექნოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0723 ტექსტილი(ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი) Bachelor in Engineering
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	

		საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის #59
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ჯერ კიდევ 2012 წლიდან მოქმედებდა აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამები „მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგია“ და „გამოყენებითი დიზაინი“. 2015 წელს შემუშავდა ორი დამოუკიდებელი მაინორ პროგრამა: „მოდის დიზაინი“ და „ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონსტრუირება და ტექნოლოგია“. მომდევნო ეტაპზე ახალი საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“ ჩამოყალიბდა იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც დაგროვდა მოქმედ მაინორ პროგრამებზე დაკვირვების, სწავლა/სწავლებისა და შეფასების სისტემების ანალიზის, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მუშაობაზე დაკვირვების, მაინორ პროგრამების სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვების შედეგებზე დაყრდნობით.
ვიზიტი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არ განხორციელებულა. შემოწმებისას, მოთხოვნის თნახმად, ძირითადი ყურადღება გავამახვილეთ აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტზე, თუმცა არ ვიყავით შეზღუდული სხვა დამატებითი გარემოებების გამოვლენისა და დასკვნებისაგან. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეთანხმებით, გადაწყდა დისტანციური თანამშრომლობის ფორმატი. ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის გაცნობის შემდგომ, 19 და 20 ივლისს შედგა Zoom-პლატფორმის გამოყენებით ვიდეოკონფერენციები, სადაც მიმდინარეობდა პროგრამის კვალიფიკაციის, ცვლილებების, აკადემიური პერსონალის და სხვა საკითხების განხილვა. კერძოდ: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მოდის დიზაინის და ტექნოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა; საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის; CV-ების, რომელშიც მითითებულია ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი/ შესაბამისი აქტივობები, რითაც დასტურდება

პერსონალის დარგობრივი კომპეტენციები. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნ ების მითითებით.
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ,,მოდის დიზაინის და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. ზოგადად პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის შესაბამის სტანდარტებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. კერძოდ: ექსპერტთა გადაწყვეტილებით და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტი შესაბამისია მოთხოვნებთან და 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, ამდენად - პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი ასევე შესაბამისობაშია და მე-4 სტანდარტი ასევე შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, შედეგებში აისახოს მოწყობილობებთან მუშაობისას უსაფრთხოების წესების დაცვით საკითხები.
2. რეკომენდირებულია, შეიცვალოს დაშვების წინაპირობად „ფიზიკა" სასწავლო კურსში „ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების მანქანები და აპარატები", რადგან იგი არჩევით ჯგუფშია.
3. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „შრომის დაცვა" არჩევით სასწავლო კურსებიდან გადატანილ იყოს ძირითადი სწავლების საგანთა ჩამონათვალში;
4. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „გამოყენებითი მექანიკის" დაშვების წინაპირობა „საინჟნრო გრაფიკა" შეიცვალოს, რადგან ეს უკანასკნელი არჩევით საგანთა ჯგუფშია.
5. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების სტრუქტურა, ინტერნაციონალიზაციის, პესონალის ინდივიდუალური საჭიროებების- დარგობრივი ტრენინგები, უცხო ენის კურსები და სხვა, პროგრამის საერთაშორისო განვითარების ხელშეწყობის მიზნით

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს და შეძლებისდაგვარად რჩევებსაც.
პროგრამა 2019 წელს წარმოდგენილი იყო ორი კალიფკაციით, შესაბამისად, დაწესებულებამ სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოახდინა კვალიფკაციის ცვლილება, კერძოდ საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაციაა ინჟინერიის ბაკალავრი ტექსტილის ტექნოლოგია /საინჟინრო ტექნოლოგიაში. წინა ვერსიით, პროგრამა "მოდის დიზაინი და ტექნოლოგია"- დიზაინის ბაკალავრის და სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციას ანიჭებდა სტუდენტს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წვრმა, ნინო იმნაძემ დააზუსტა ხომ არ მომხდარა პროგრამის დადარება ანალოგიურ პროგრამებთან.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამა რა ფორმითაც იყო წარმოდგენილი აკრედიტაციაზე მისი ანალოგი საქართველოში არ არსებობს.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში არჩევით სასწავლო კურსებად მოცემულია ,,ფიზიკა", ,,გამოყენებითი მექანიკა" და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ,,გამოყენებითი მექანიკის" წინაპირობად არის დაშვებულია ,,საინჟინრო გრაფიკა", თუმცა ,,საინჟინრო მექანიკა", წინაპირობაში მოითხოვს თეორიულ მექანიკასა და მასალათა გამძლეობას.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა ხორციელდება თუ არა დაწესებულებაშ მსგავსი შინაარსი პროფესიული პროგრამა.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დააზუსტა მოხდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენლების მიერ უცხოური ანალოგების შესწავლა და როგორია ინსტიტუციის საერთაშორისო თანამშრომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისნტიტუციაში საკმაოდ წარამტებულად ხორციელდება ტანსაცმლის კონსტრუირებისა და ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების პროფესიული პროგრამები. რაც შეეხება სტუდენტების მიერ სურვილის შემთხვევაში სწავლის გაგრძელებისას კრედიტების აღიარები საკითხს, პროფესიულ პროგრამაში ძირითადად არის პრაქტკული კომპონენტები. შესაბამისად, თუ სამინისტროს მხრდიან იქნება ნებართვა, დაწესებულება მზადაა აღიაროს კრედიტები.
რაც შეეხება საერთაშორისო თანამშრომლობას, დაწესებულებას მჭიდრო კავშირი აქვს უკრაინასთან და ყოველწლიურად მონაწილეობას ირებს ახალგაზრდა დიზაინერთა კონკურსში, რომელიც იმართება კიევში და სადაც საკმაოდ არის აღიარებული ინსტიტუციის სტიდენტებისა და ლექტორების ნამუშევრები. გარდა ამისა, დაწესებულებას აქტიური კაშირი აქვს ზილის უნივერსიტეტთან სადაც ასევე ხორციელდება ანალოგიური პროგრამა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:37
დასრულების დრო: 18:49
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი და განსაზღვრა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
დაემატა შემდეგი რჩევა:

1. სასურველია, განისაზღვროს სასწავლო კურსის „გამოყენებითი მექანიკა“ წინაპირობა კურსის შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისად.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მ ი ჩ ნ ე უ ლ ი ქ ნ ე ს , რ ო მ

„მოდის დიზაინი და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს სხდომა დატოვა დიანა მჭედლიშვილმა.

7.მეშვიდე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 12 ნოემბრის N203 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სასურსათო ტექნოლოგიების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0721 სურსათის გადამუშავება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	-
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2018 წელს, პროგრამისა და უმაღლესი განათლების სფეროს წლიური შეფასების გამოწვევების საპასუხოდ, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭომ განიხილა პროგრამის განმახორციელებლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი შეთავაზება მოქმედი სადოქტორო პროგრამის შეჩერებასა და მისი განახლებული, შეცვლილი ვერსიის შემუშავებაზე. 2018 წელს ახალი პროგრამა შემუშავდა და მისი წარდგენა მოხდა აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პროცედურებისა და მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა მოიცავდა 180 ECTS კრედიტს და 6 სასწავლო სემესტრს.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. მონიტორინგის შემოწმების საფუძველია აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე, ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების თანახმად სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასურსათო მეცნიერებისა და ტექნოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი. გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგფმა შეამოწმა I სტანდარტი, II სტანდარტი, III სტანდარტის 3.1 კომპონენტი, IV სტანდარტის 4.1 და 4.2 კომპონენტები, V სტანდარტის 5.2 კომპონენტი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მონიტორინგის მიზნით მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლა, დადარება 2019 წლის 11 ნოემბრის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-დან გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია,

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მაქსიმალურად გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები და შესაბამისად გაატარა აუცილებელი ცვლილებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:59

დასრულების დრო: 19:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი და განსაზღვრა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ ,, "სურსათის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 24 აგვისტოს 19:05 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ